

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 26 მარტის N 20/19 ოქმით

უნივერსიტეტის, როგორც ფუნდამენტური და/ან გამოყენებითი კვლევების/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის ინსტიტუციის განვითარების სტრატეგია

საქართველოს უნივერსიტეტის გრძელვადიანი ხედვა გულისხმობს განათლებისა და კვლევის - როგორც საუნივერსიტეტო ცხოვრების ურთიერთდაკავშირებული, ურთიერთშემავსებელი მხარეების - ზრდად ინტეგრირებას. განათლებისა და კვლევის კავშირი ხელშესახები უნდა იყოს როგორც პერსონალისთვის, ისე სტუდენტებისთვის:

საერთაშორისო სტანდარტის კვლევითი საქმიანობა გადამწყვეტ როლს უნდა თამაშობდეს აკადემიური პერსონალის აყვანასა და დაწინაურებაში.

ასეთი კვლევების წარმოება და შესაბამისი უნარების განვითარება არის ერთადერთი ძირითადი მიზანი სადოქტორო საფეხურის სტუდენტებისთვის.

სამაგისტრო საფეხურის სტუდენტები რეგულარულად უნდა ეცნობოდნენ მაღალი სტანდარტის სამეცნიერო კვლევებს და ჰქონდეთ კვლევებში ასისტირების, თანამონაწილეობის შესაძლებლობა.

საბაკალავრო საფეხურის სტუდენტები უნდა ეცნობოდნენ სამეცნიერო კვლევების როლს და არსს მათ მიერ არჩეულ დისციპლინებში. ლექტორებმა უნდა დაანახონ სტუდენტებს კავშირი კვლევებს, სფეროს გამოყენებით მხარესა და სტუდენტებისთვის მიწოდებულ ცოდნას შორის. სტუდენტებს უნდა შეექმნათ ზოგადი წარმოდგენა კვლევით პრაქტიკაზე როგორც აკადემიურ სივრცეში, ისე მის მიღმა (ინდუსტრიაში, გლობალურ კორპორაციებში თუ სხვა რელევანტურ სივრცეებში).

უნივერსიტეტი არა მხოლოდ მოითხოვს და ხელს უწყობს ინდივიდების კვლევით საქმიანობას, არამედ ქმნის ინფრასტრუქტურას და ხდება ღია პლატფორმა კვლევითი საქმიანობის ინიცირებისთვის, კვლევითი პრობლემატიკისა და მიღწევების განხილვისა და ურთიერთგაზიარებისთვის.

ეს გამოიხატება როგორც კვლევებისთვის მატერიალური ბაზის მდგრად განვითარებაში, ისე სამეცნიერო კონფერენციების, კვლევების საპოპულარიზაციო შეხვედრებისა და პრეზენტაციების რეგულარულ ორგანიზებაში, კვლევებთან დაკავშირებული სხვადასხვა საკონკურსო (შეჯიბრი) თუ საინფორმაციო ინიციატივის წახალისებაში.

ამდენად, აკადემიური პერსონალის კვლევითი მოღვაწეობა წახალისდება სხვადასხვა გზით - პრემიების გაცემა გამოქვეყნებული კვლევითი ნაშრომებისთვის;

უნივერსიტეტში არსებული პროფილური პერსონალის მიერ მკვლევარებისთვის გარე სამეცნიერო გრანტების მოპოვებაში დახმარება;

შიდა სამეცნიერო გრანტების გაცემა;

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 26 მარტის N 20/19 ოქმით

კვლევითი მოღვაწეობის გამჭვირვალე, რაოდენობრივი შეფასების - როგორც საკადრო-კარიერული გადაწყვეტილებების საკვანძო კრიტერიუმის - დამკვიდრება;

პერსონალის ხელშეწყობა სამეცნიერო ნაშრომების პოპულარიზაციაში და მეცნიერების როლის ზრდა უნივერსიტეტის პიარ-სტრატეგიაში;

საგანმანათლებლო პროგრამებში, სტუდენტებთან ურთიერთქმედებაში კვლევების როგორც საინფორმაციო, ისე პრაქტიკული როლის ზრდა.

სტრუქტურულად, უნივერსიტეტი დაამკვიდრებს კვლევითი საორგანიზაციო ერთეულების შექმნის, მართვისა და წახალისების ერთიან ჩარჩოს,;

უნივერსიტეტის თითოეული სკოლის ფარგლებში, განისაზღვრება უნივერსიტეტისთვის პრიორიტეტული კვლევითი მიმართულებები. სწორედ ამ მიმართულებებით წახალისდება სამეცნიერო საორგანიზაციო ერთეულების შექმნა და განვითარება. პრიორიტეტულობის განსაზღვრაში გათვალისწინებული იქნება რამდენიმე ფაქტორი:

საგანმანათლებლო ბაზარზე მოცემულ ან დაკავშირებულ სფეროებზე არსებული მოთხოვნა;

შრომით ბაზარზე - მათ შორის, ინდუსტრიაში, სამთავრობო სტრუქტურებში თუ არასამთავრობო ორგანიზაციებში - მოცემული სფეროს კვლევებზე მოთხოვნის არსებობა და მასშტაბი;

შესაბამისი კვლევითი მიმართულების ათვისების დონე რეგიონში - რამდენად თავისუფალია მოცემული სფეროს სამეცნიერო ნიშა;

მოცემული სფეროს კომპეტენტური პერსონალის ხელმისაწვდომობა უნივერსიტეტისთვის (როგორც უნივერსიტეტში არსებულ კადრებს, ისე კონკურსის შედეგად მოზიდვად კადრებს შორის).

კვლევით ერთეულებზე გავრცელდება იგივე სტრატეგიული ხედვა, რაც აკადემიური მიმართულებით დასაქმებულ ინდივიდებზე;

კვლევითი ერთეულების საქმიანობა უნდა იყოს დაკავშირებული და ინტეგრირებული სხვადასხვა საფეხურის საგანმანათლებლო პროცესთან, როგორც პირდაპირ, ისე ირიბად - მასში გაერთიანებული ინდივიდების მონაწილეობით საგანმანათლებლო პროცესში;

კვლევითი ერთეულები და მათი საქმიანობა მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს უნივერსიტეტის ექსტრაკურსულურ ღონისძიებებსა და პიარ-სტრატეგიაში;

კვლევითი ერთეულების საქმიანობის შეფასება და წახალისება მოხდება იმავე ძირითადი პრინციპებით, რაც ცალკეული მკვლევარების. ცენტრალურ როლს ითამაშებს საერთაშორისო სტანდარტის სამეცნიერო ნაშრომების შექმნა, საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში ჩართულობა და სამეცნიერო გრანტების მოპოვება;

კვლევითი ერთეულის ხელშეწყობის ხარისხი გადაიხედება იმის მიხედვით, რამდენად მიიღწევა მინიმალური დასახული მიზნები - ნეგატიური შედეგების შემთხვევაში, შესაძლოა

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 26 მარტის N 20/19 ოქმით

მოხდეს კვლევითი პრიორიტეტების გადახედვა ან პერსონალის გადახალისება. დადებითი შედეგების შემთხვევაში - კვლევითი ერთეულის გაფართოება და შესაბამისი მატერიალური ბაზის გაძლიერება.